MES 9 22 0000793641

12/07/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 28.06.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:15სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: დავით ჩოჩიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი -** შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;

5. ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ლევან მოსახლიშვილი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; (სხდომის მდივანი)
14. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	არჩილ ჯანგირაშვილი	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	I
2	ქეთევან გეგიაძე	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	საერთაშორისო აკრედიტაციის უფროსი;	I
3	ლუკა ბერაია	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი;	I
4	თეონა შუშტაკაშვილი	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	ავტორიზაციის განყოფილების უფროსი;	I
5	თინათინ ღუდუშაური			I

		შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	
6	მაია ჩხეიძე	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;	**I**
7	რევაზ ტაბატაძე	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	ასოცირებული პროფესორი.	**I**
8	მაია გურგენიძე	**შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში**	რექტორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი) ხელმძღვანელი;	**II**
9	ლაშა მარკოზაშვილი	**შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში**	ვიცე-რექტორი	**II**
10	თეონა ხაჩიძე	**შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში**	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი) ხელმძღვანელი;	**II**
11	გაგა გვენეტაძე	შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	**II**
12	მამუკა თავხელიძე	**შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის**	რექტორი	**III**
13	გულნაზი გალდავა	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის	რექტორის მოადგილე	**III**
14	გიორგი მირიანაშვილი	**შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის**	საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
15	მოგელი შენგელია	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს	**III**
16	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	**IV**
17	ხათუნა მხეიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისმოადგილე.	**IV**

18	თამარ ლომინაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	IV
19	თინათინ კაიშაური	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტისხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
20	მზია კიკნაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	კომპიუტერული სისტემების და ქსელური ტექნოლოგიების“მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
21	ლევან იმნაიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	IV
22	ალექსანდრე ბენაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	IV
23	ნანი არაბული	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	IV
24	ვლადიმერ ადამია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	IV
25	მაგული ბედინეიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	IV
26	ანა სამსონაძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
27	თამარ ვეფხვაძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი	V
28	ნატო გენგიური	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
29	მალხაზ ღვინჯილია		პროგრამის ხელმძღვანელი	V

		სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი		

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ინგა დიაკონიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მარიამ კილანავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	თეონა კუპრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მარიამ ბანძელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ნანა მაჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ნოდარ ხერხეულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ლიანა ზაგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	გულადი ფარტენაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	მარიამ ზანგალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
18	შალვა მესხი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
19	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
20	ეკა დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
21	ნინო სილაგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
22	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
23	მარიამ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა, ხოლო ხსდომის მდივნად გავისაზღვრა დავით ჩოჩიჩვილი.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1.შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული სისტემების და ქსელური ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტის "კულტურული ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1.შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული სისტემების და ქსელური ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტის "კულტურული ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი : შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ახალი
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 - ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი , 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭო სწევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის მიერ ინიცირებული ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით უნივერსიტეტში 2022 წლის 13 მაისს შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის დროსაც, წინასწარ დაგეგმილი და პროგრამის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ექპერტებმა ჩაატარეს ინტერვიუ პროგრამაში

ჩართულ პირებთან და განახორციელეს პროგრამისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, ექსპერტებს შესაძლებლობა მიეცათ მშვიდ, კოლეგიალურ და სამუშაო გარემოში შეხვედროდნენ და გასაუბრებოდნენ ხელოვნებისა და ჰუმანიტარული სკოლის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებს, მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს, პროგრამისათვის პოტენციური და უნივერსიტეტში უკვე არსებული დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს. ექპერტებმა პროგრამის ჯგუფისგან გამოითხოვეს კონკრეტული დამატებითი დოკუმენტაცია და ვიზიტის ბოლოს ინტერვიუს შედეგები შეაჯერეს, რის შემდეგაც, პროგრამის ჯგუფს ძირითადი მიგნებები გააცნეს.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაცონალიზაციის თვალსაზრისით;
2. პროგრამას დაემატოს ენობრივი კომპეტენციის ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით C1 დონის ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი კურსი;
3. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკი გადახალისდეს და დაკომპლექტდეს მრავალფეროვანი, სპეციალობასთან ასოცირებული, კვლევასა და პროფესიული დისკურსის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კურსებით კონკრეტული საგნების შეკვეცის ხარჯზე;
4. პროგრამის შემადგენელი საგნების კრედიტების რაოდენობა, მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დრო გადაიხედოს, მოდიფიცირდეს და მეტად მოერგოს საგნის სპეციფიკასა და შინაარსს;
5. კურსების სილაბუსებში მოცემული სწავლების მეთოდები, შედეგების განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, დიფერენცირდეს სწავლების მეთოდების ნაწილში და გაიმიჯნოს აქტივობებისგან, რაც უფრო ნათელს გახდის შედეგების მიღწევის რეალურობას და შექმნის უფრო ზუსტ ბმას სწავლების მეთოდებსა და შედეგებს შორის;
6. პროგრამის ფარგლებში შემავალ კურსებს, ძირითადი კურსების სწავლების მეთოდების ნაწილში, სასურველია, დაემატოს გუნდური მუშაობისთვის საჭირო მეთოდები/აქტივობები, რაც დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგებით გამოვლენილ საჭიროებებს შესაბამისად უპასუხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში არ იყო მოცემული ინფორმაცია დასაქმების არეალის შესახებ და დააზუსტა, თუ სად ხდება პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმება. ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა არის პროგრამის მისია, კერძოდ, ენის სწავლების, თუ ენის კვლევის მიმართულება.
საბჭოს წევრმა ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ რიგ სილაბუსში მოცემული იყო საკმაოდ მოძველებული ლიტერატურა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა არის ინგლისურენოვანი, შესაბამისად არსებობდა თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის მრავალფეროვანი არჩევანი. ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა რიდერების საკითხი.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ 2021 წელს დამტკიცდა ენის დაუფლების დოკუმენტი და დააზუსტა იყო თუ არა პროგრამა ექსპერტების მხრიდან ამ კუთხით შესწავლილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 17 მისანიჭებელი კვალიფიკაციის – ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი შესაბამისია და უმეტესად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ექსპერტების აზრით, იმისათვის, რომ ყველა შედეგი მაქსიმალურად იყოს მიღწეული სამიზნე, ინგლისურ ენაზე, აუცილებელია, პროგრამას დაემატოს ენობრივი კომპეტენციის ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით C – პროფესიული კომუნიკაციის დონის ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი კურსი შესაბამისი შეფასების მექანიზმით. მითუმეტეს, რომ პროგრამის შედეგებში ფიგურირებს C1 დონის ტექსტების შედგენა, პროფესიული კომუნიკაცია და სხვ. გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომი ინგლისურ ენაზე სრულდება, რაც უდავოდ მოითხოვს C1 დონის შესაბამისი ისეთი პროფესიული ენობრივი კომპეტენციის უნარების დადასტურებას, როგორიცაა ,,რთული, ვრცელი ტექსტების ფართო სპექტრის გაგებისა და იმპლიციტური მნიშვნელობის წვდომის უნარი, კომპლექსურ საკითხებთან დაკავშირებით ნათლად, სტრუქტურირებულად და დეტალურად აზრის წერილობით გამოთქმისა და ამ პროცესში ტექსტის შემაკავშირებლად სხვადასხვა შესაბამისი საშუალებების გამოყენების უნარი“ და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სწავლების ენა ინგლისურია, რაც თავისთავად გულისხმობს სამიზნე ენის დახვეწას ვრცელი მასალის მოსმენა/კითხვა/დამუშავების გზით, ვფიქრობთ, მოცემული უნარები იმდენად საკვანძოა ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრისთვის, რომ საჭიროა მათი გამომუშავება/დადასტურება/შეფასება პროგრამის ფარგლებში.
რაც შეეხება დასაქმების საკითხს, პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მაგისტრთა დასაქმების შესაძლებლობებისა და ბაზარზე არსებული ტენდენციების იდენტიფიცირების მიზნით, უნივერსიტეტმა ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,,დასაქმების ბაზრის კვლევა ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისათვის'' მოიცავს და აანალიზებს ყველა დაინტერესებული პირის გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემებს ისევე, როგორც 8 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ კვლევებსა და სტატისტიკურ მონაცემებს. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტთა 49% საქმდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სკოლებში ინგლისური ენის პედაგოგებად. განხორციელებული კვლევის თანახმად, ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრთა პოტენციურ დამსაქმებლებად მოიაზრება ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სახელმწიფო სტრუქტურები და არასამთავრობო ორგანიზაციები, გამომცემლობები და საელჩოები, ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრები და ორგანიზაციები. იგივე კვლევა ადასტურებს, რომ განსაკუთრებით მაღალია ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის დასაქმების შესაძლებლობა ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის მასწავლებლად.

ექსპერტმა ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში, სილაბუსებში საკმაოდ დიდი რაოდენობით მოცულობითი ლიტერატურა არის განსზღვრული, ხოლო რიდერებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ლიტერატურის რიდერები არ არსებობდა საავტორო უფლებებიდან გამომდინარე.
ექსპერტმა, ნინო ჯოჯუამ ყურადღება გაამახვილა რომ პროგრამის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს პედაგოგის მომზადება. მიუხედავად ამისა, შემოთავაზებული არჩევითი კურსები შესაძლებლობას აძლევს მაგისტრანტს, სურვილის შემთხვევაში, შეიძინოს ზემოაღნიშნული მიმათულებით დასაქმებისთვის საჭირო ცოდნა და კომპეტენცია, თუმცა, პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს. ექსპერტთა ჯგუფმა დააყენა ეს საკითხი პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუზე, რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მიზნად არ ისახავს პრაქტიკული კურსების პედაგოგის მომზადებას, მომიჯნავე პროგრამის (ინგლისური ენის ფილოლოგიის ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა) კურსდამთავრებულები წარმატებით საქმდებიან პედაგოგებად. დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ აღნიშნულ პროგრამასთან, და თავად უზრუნველყოფენ ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრებს საჭირო პედაგოგიური პრაქტიკით. სწორედ აღნიშული გამოცდილების გათვალისწინებით და დამსაქმებლების რეკომენდაციით, წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში მოხდა ისეთი არჩევითი კურსების ინტეგრირება, რომელიც, სურვილის შემთხვევაში, საჭირო ცოდნასა და კომპეტენციას მიაწვდის მომავალ პედაგოგს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართადა წესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია არის გაზიარებული და შესრულებული., რაც ასახულია როგორც პროგრამაში, ასევე სილაბუსებში.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუცია სრულიად იზიარებს ექსპერტთა მოსაზრებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით 2022 წლის 10-12 ივნისს გადაიდგა ახალი ნაბიჯები (რომელთა ასახვაც, ვადების გამო, ვერ მოხერხდა ვერც თვითშეფასების ანგარიშში და ვერც ექსპერტთა უნივერსიტეტში ვიზიტისას), კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა (7 პროფესორი) მონაწილება მიიღო საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებაში, ასევე საქართველოს უნივერსიტეტის სრული ფინანსური მხარდაჭერით წარადგინა მოხსენებები. საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს უნივერსიტეტის სრული ფინანსური მხარდაჭერით მოხსენებები წარადგინეს ასევე ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის 7 სტუდენტმა და ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის 4 სტუდენტმა (საერთაშორისო კონფერენციის პროგრამა თანდართულია). ბუნებრივია, ამ ტიპის მხარდაჭერა (აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში) გავრცელდება სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებზეც.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ C1 შეიძლება საერთოდ არ ყოფილიყო ინტეგრირებული ძირითადი საგნების ბლოკში. არჩევით ნაწილში წარმოდგენილია C1-1, C2-2 სასწავლო კურსები.
მნიშვნელოვანია ასევე ლიტერატურის საკითხი, კერძოდ ის სეგმენტი, რომელიც აქტუალურია პროგრამაში და რომელზეც აგებულია ,,კვლევის მეთოდები“, ,,მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი“ სრულად. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ინტერნეტში განთავსებული ვერსიები არის დაბალი ხარისხის და არ შეესაბამება პროგრამის დანიშნულებას, ხოლო საკუთარი სტატიების ინტეგრირებას ერიდება და დასძინა, რომ კუნის პარადიგმის და სხვა ინფორმაციის შესწავლა შესაძლებელია ძველი სახელმძღვანელოებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ დააზუსტა პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებული იქნა თუ არა 2021 წელს დამტკიცებული ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი.

აღნიშნული შეკითხვა გამომდინარეობს იქიდან, რომ პროგრამაში კრედიტის სახით არ არის მოცემული პროფესიული პრაქტიკა. პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საკითხში მახასიათებელში არის ორი სახის ჩანაწერი და ორი შედეგი, სადაც კურსდამთავრებული ამჟღავნებს სწავლის და კვლევის უნართან ერთად, პრაქტიკის უნარს და წვლილი შეაქვს ამ კუთხით განვითარებაში.
ამასთან, ძირითადი სასწავლო კურსების სავალდებულო ბლოკში ძირითადად აქცენტი გაკეთებულია ლინგვისტიკაზე. თუმცა რადგან პროგრამა არის ინგლისური ფილოლოგიის სად იფარება მაშინ ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის მეთოდები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ ასევე აღნიშნა, რომ სრულიად იზიარებს ექსპერტთა მოსაზრებას სწავლების მეთოდების უნიფიცირების საკითხთან მიმართებით. რადგან ამ შემთხვევაში უნიფიცირებულია არა მარტო სწავლების მეთოდები, არამედ შეფასების ნაწილიც. შეფასება მოცემულია ქულობრივად, ხოლო რუბრიკებში ასახულია პროცენტულად. შესაბამისად, თუ როგორ ხდება ქულების შეჯამება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. პროგრამაში შეფასების ნაწილი არ არის მოცემული, წარმოდგენილია მხოლოდ მატრიცა. აღსანიშნავია ასევე, რომ პროგრამაში არ არის მოცემული დასაქმების მაჩვენებელი, რაც ასევე საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში არის ბალანსი ლინგვისტიკისა და ლიტერატურის საგნებს შორის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ასევე ლინგვისტიკისა და ლიტერატურის სააზროვნო სივრცეების სინთეზი. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ,,მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზის სასწავლო კურსი", რაც არის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე ორიენტირებული. პროგრამა არ არის ენის მასწავლებლის პროგრამა, თუმცა სამწუხაროდ ინგლისურის მასწავლებელზე მოთხოვნა ვერ იქნება გადამწყვეტი მოცემული პროგრამისათვის. ფილოლოგია არ გულისხმობს მხოლოდ ენის სწავლებას, მაგისტრატურის დონეზე პროგრამის მიზანია გაზარდოს კურსდამთავრებული, რომელიც შეძლებს სოციოლინგვისტურ სამუშაოებს, ასევე ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის დაკავშირება, საველე პრაქტიკებს. ის პრაქტიკული უნარები, რომლებიც სტუდენტს სჭირდება მაქსიმალურად მრავალფეროვანია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა, ასევე შეფასებების ნაწილთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მეთოდებისა და აქტივობების დოკუმენტი დაწესებულებაში უნიფიცირებულია. დოკუმენტში ჩამოთვლილია აქტივობები და მეთოდები, რომლებსაც გასწვრივ თავისი ახსნა აქვს. ნებისმიერ დროს რაც პროგრამა ემატება, ახალი საჭიროებიდან გამომდინარე, ამ დოკუმენტში იწერება ახალი მეთოდი ან აქტივობა თავისი აღმწერით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრობლემა არც ერთ ასპექტში არ ყოფილა.
რაც შეეხება პროგრამის მიზანს, სამაგისტრო პროგრამის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს ფილოლოგიის დარგების, მიმდინარეობების, თეორიების, სააზროვნო პარადიგმების, თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების სისტემური და სიღრმისეული ხედვის უნარი, რაც გულისხმობს თანამედროვე ფილოლოგიის სააზროვნო სივრცის ინტერდისციპლინარობის, პოლიპარადიგმულობისა და ინტერპარადიგმულობის გააზრების, ლინგვისტიკისა და ლიტერატურის, კულტუროლოგიისა და სოციოლოგიის სააზროვნო სივრცეებისათვის რელევანტური თეორიების ექსპლონატორული პოტენციალისა და პრაქტიკული ღირებულების გაცნობიერების, ასევე თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს. დასახული მიზანი მიიღწევა, ერთი მხრივ, სასწავლო გეგმაში თეორიული და პრაქტიკული (კვლევითი) კომპონენტების სინთეზირებით, მეორე მხრივ კი, პროგრამის ინტერდისციპლინარობაზე ორიენტირებულობით, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციასა და ზრდის მათი წარმატების შანსებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომით ბაზარზე. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებისა და

მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, სტუდენტისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებით სარგებლობის, ეთიკური და პროფესიული იდეალების დაცვის, დამოუკიდებელი კვლევების დაგეგმვისა და განხორციელების უნარის გამომუშავებაზე, შესაბამისად კი, მაღალი კონკურენტულობის, ინგლისური ფილოლოგიის სფეროსათვის რელევანტური თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე პროფესიული კადრის მომზადებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა თუ რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს კანდიდატმა მოწვეული ლექტორის სტატუსის მოსაპოვებლად.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მინიმალური სტანდარტი მოწვეულ ლექტორებთან მიმართებაში არის CV როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე. გასაუბრების ნაწილი ითვალისწინებს, ასევე, მოდელირებული ლექციის საკითხსაც, სადაც მოწმდება თუ როგორ აყალიბებს კანდიდატი აზრს, როგორ არჩევს თემასა და სახელმძღვანელოებს.
საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალიდან გამომდინარე, ლიტერატურათმცოდნეობა მაინც უმცირესობაში იმყოფება, როგორც არჩევით, ასევე ძირითად ბლოკში. ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმება პროგრამაზე. ამასთან საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ სამაგისტრო ნაშრომების შესახებ.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ანალოგიურ ქართულ პროგრამაზე არის 10 ადგილი. რაც შეეხება ნაშრომებს, არც ერთი მიმართულება დომინანტურად არ იკვეთება. ნაშრომის შესრულების წესი მოცემულია სამაგისტრო დებულებაში. ამასთან, ცალკე დანართის სახით არის წარმოდგენილი გაფორმების წესი, სადაც დეტალურად არის მოცემული ციტირების საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 16:28

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.2. კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაცონალიზაციის თვალსაზრისით;
2. პროგრამას დაემატოს ენობრივი კომპეტენციის ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით C1 დონის ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი კურსი;
3. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკი გადახალისდეს და დაკომპლექტდეს მრავალფეროვანი, სპეციალობასთან ასოცირებული, კვლევასა და პროფესიული დისკურსის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კურსებით კონკრეტული საგნების შეკვეცის ხარჯზე;

4. პროგრამის შემადგენელი საგნების კრედიტების რაოდენობა, მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დრო გადაიხედოს, მოდიფიცირდეს და მეტად მოერგოს საგნის სპეციფიკასა და შინაარსს;
5. კურსების სილაბუსებში მოცემული სწავლების მეთოდები, შედეგების განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, დიფერენცირდეს სწავლების მეთოდების ნაწილში და გაიმიჯნოს აქტივობებისგან, რაც უფრო ნათელს გახდის შედეგების მიღწევის რეალურობას და შექმნის უფრო ზუსტ ბმას სწავლების მეთოდებსა და შედეგებს შორის.
6. პროგრამის ფარგლებში შემავალ კურსებს, ძირითადი კურსების სწავლების მეთოდების ნაწილში, რეკომენდირებულია, დაემატოს გუნდური მუშაობისთვის საჭირო მეთოდები/აქტივობები, რაც დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგებით გამოვლენილ საჭიროებებს შესაბამისად უპასუხებს.
7. პროგრამით დასახული ლინგვისტური კვლევის განხორციელებისათვის საჭირო თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების სრულყოფილი შესწავლისა და სტუდენტებისათვის დარგის უახლესი მიღწევების გაზიარების მიზნით, რეკომენდებულია შესაბამისი თემატიკის ლიტერატურის განახლება და შევსება (მაგ., ლინგვისტური კვლევის მეთოდების სილაბუსი შეივსოს საველე ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის შესწავლაზე ორიენტირებული თანამედროვე ლიტერატურით, როგორიცაა: Crowley, T., (2007). Field Linguistics: a Beginner's Guide; Bowern, C., (2008, 2015). Linguistic Fieldwork: A Practical Guide; Vaux, B., Cooper, J., Tucker, E., (2012). Linguistic Field Methods და/ან სხვ. და დარგში არსებული სტანდარტებით, როგორიცაა: Bakker, D., König, E., Dahl, Öst., Haspelmath, M., Koptjevskaja-Tamm, M., Lehmann, Chr., Siewierska, A., (1993). Eurotyp Guidelines; Comrie, B., Haspelmath, M., Bickel, B., (2008). The Leipzig Glossing Rules: Conventions for Interlinear Morpheme-by-morphene Glosses; პარადიგმები და ტენდენციები თანამედროვე ლინგვისტიკაში სილაბუსი შეივსოს ტრანსფორმაციულ-გენერატიული გრამატიკის შესწავლაზე ორიენტირებული ძირითადი ლიტერატურით, როგორიცაა: Chomsky, N., (1995). The Minimalist Program; Chomsky, N., (2004). The Generative Enterprise Revisited და სხვ.);
8. რეკომენდებულია პროექტის მართვის სილაბუსი შეივსოს ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი პროექტების განხორციელებისათვის საჭირო თემებით და შესაბამისი ლიტერატურით, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს კვლევითი პროექტ(ებ)ის დაფინანსებაზე ორიენტირებული თემების შესწავლას (Grant Application Writing);
9. რეკომენდებულია, დაწესებულებამ დაიცვას შიდა რეგულაცია,პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების ნაწილში.

რ ჩ ე ვ ე ბ ი

1. სასურველია, პროგრამის მიერ დასახული მიზნებისა და მისაღწევი შედეგების უკეთესად გაზომვის მიზნით, კურიკულუმის რუკა მოიცავდეს ინფორმაციას მიზნების და შედეგების შესაბამისობის შესახებ;

2. პროგრამის სილაბუსების ფორმატი გახდეს უფრო ინფორმაციული, კერძოდ, მიზანშეწონილია:

ა) სილაბუსებში შეფასების ფორმების და კომპონენტების მეტი დეტალიზაცია; შეფასების სისტემის გრაფაში შეფასების ყველა კომპონენტში(შუალედური, დასკვნითი, პრეზენტაცია) მინიმალური გადასალახი პროცენტულობის/ქულობრივი მაჩვენებლების დამატება სტუდენტთა ამ მხრივ მეტი ინფორმირებულობის მიზნით;

ბ) ლიტერატურის ბლოკის სტილისტურად და სტრუქტურულად დახვეწა, მათ შორის, დამატებითი ლიტერატურის განსაზღვრა და ჩამოთვლილი ლიტერატურის ხასიათის გამიჯვნა

(წიგნი, სტატია, ელ.რესურსი...), რაც სტუდენტს და ასევე ბიბლიოთეკის თანამშრომელს გაუადვილებს მასზე წვდომას;
გ) სილაბუსში კურსის შედეგების აქტიური ზმნებით წარმოჩენა;
3. უნივერსიტეტმა შეიმუშაოს:
ა) კონკრეტული გეგმა და გაზარდოს ინტერესი სტუდენტებში საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებისა, ასევე, ეცადოს, შეამციროს ბარიერები რომლებიც ხელს შეუშლის სტუდენტებს პოტენციური მობილობის განხორციელებაში (მაგალითად, მოქნილი გახადოს კრედიტების აღიარების და შესაბამისობის დადგენის მექანიზმი და სტანდარტები);
ბ)სტუდენტთა წახალისების ფორმები მათი სამეცნიერო თუ აკადემიური აქტივობის მხარდაჭერისთვის, რაც პროგრამას მეტ მდგრადობას შესძენს.
4. დაწესებულებამ მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, განსაზღვრული პერიოდულობით უზრუნველყოს უცხოელი თუ ქართველი ექსპერტების (მაგალითად, დარგის სპეციალისტები პარტნიორი უცხოური თუ ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, აკრედიტაციის ექსპერტები და სხვ.) ჩართულობით, რომლებიც განახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამის დამოუკიდებელ შეფასებას და მისი განვითარების მიზნებისათვის, შემდგომში სამსჯელოდ, დაწესებულებას წარუდგენენ რჩევებს, რეკომენდაციებსა და შენიშვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
5. უსდმ უზრუნველყოს მუშაობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ლექციებზე დამკვირვებლის დასწრების გზით მონიტორინგის მექანიზმის დანერგვისა და ამოქმედებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და 1 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

2.მეორე საკითხი: შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არ ანიჭებს
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით - 0114
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ვეფხისტყაოსნის ქ. N92, 0131, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა მიხეილ გიორგაძემ აღნიშნა, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, 2022 წლის 26 აპრილს შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ამავე უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი)“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებსა და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სასწავლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, სასწავლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დისტანციურად დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აუდიტორიები, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთაჯგუფისთავმჯდომარემსაბჭოსგააცნოდასკვნაშიდაფიქსირებულირეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
2. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების შინაარსი და მოვიდეს ის შესაბამისობაში პროგრამის სწავლის შედეგებთან და მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა კითხვით ექსპერტებს უნდა ჰქონდეს თუ არა აკადემიურ პერსონალს დოქტორის ხარისხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ პერსონალს, რომელიც ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, აქვს აკადემიური ხარისხი და, ასევე, პროგრამაზე წარმოდგენილი პერსონალის ნაწილს აქვს უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე. კერძოდ, განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კრედიტების განაწილება უნიფიცირებულია და თითოეულ კურსზე გათვალისწინებულია 5 კრედიტი, სხვადასხვა კურსის შემთხვევაში საკონტაქტო და ინდივიდუალური მუშაობის საათების თანაფარდობა განსხვავებულია. საათების განსაზღვრა მოხდა განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებით, კურსის მიზნებისა და დასაფარი მასალის გათვალისწინებით. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვადასხვა კურსის მაგალითი, რომელსაც ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე ლექტორიც უძღვება, თუმცა საათების თანაფარდობა განსხვავდება ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე. ასეთი კურსებია: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა - 51 საკონტაქტო საათი, 74 - დამოუკიდებლად მუშაობა; სასკოლო შეფასების სისტემები - 37 საკონტაქტო საათი, 88 - დამოუკიდებლად მუშაობა; ზოგადი განათლების სისტემის საფუძვლები - 42 საკონტაქტო საათი, 83 - დამოუკიდებლად მუშაობა; ლიდერობა სკოლაში - 37 საკონტაქტო საათი, 88 - დამოუკიდებლად მუშაობა, კვლევის მეთოდები განათლებაში - 51 საკონტაქტო საათი, 74 - დამოუკიდებლად მუშაობა.
რაც შეეხება კურსებზე დაშვების წინაპირობებს, კონკრეტულად კი ინკლუზიური განათლების სასწავლო კურსისთვის განათლების ფსიქოლოგიასთან ერთად სხვა კურსის წინაპირობად განსაზღვრას, პროგრამის შემუშავების პროცესში გუნდის გადაწყვეტილება ეფუძნებოდა შემდეგ მოსაზრებას: განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო კურსი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ სტუდენტს საშუალება აქვს გაეცნოს და შეიმეცნოს, ერთი მხრივ, ფსიქოლოგიის როლი სწავლა-სწავლების პროცესში, ასევე, განვითარებისა და სწავლების ძირითადი თეორიები, გაითავისოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და ძლიერი მხარეები სწავლა - სწავლების პროცესში. მეორე მხრივ, ინკლუზიური განათლების სასწავლო მოდული ორიენტირებულია იმაზე, რომ სტუდენტმა იპოვოს კავშირები ზემოთ აღნიშნულ თეორიებსა და ინკლუზიურ განათლებას შორის, ესმოდეს სწავლა-სწავლების ძირითადი სტრატეგიები და მათი მნიშვნელობა, იცნობდეს განვითარების დარღვევებს და ჰქონდეს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობის მზაობა, ესმოდეს ინტერკულტურული განათლების არსი და ითვალისწინებდეს პროცესის წარმართვისას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული კურსები იმ მოსაზრებით დაიგეგმა, რომ ისინი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, ავსებს და აკავშირებს სტუდენტის მიერ კურსის ფარგლებში მიღებულ ცოდნას. ჩავთვალეთ, რომ სასწავლო პროცესის მსგავსი დაგეგმვა იძლევა შესაძლებლობას, საგანს არ ჰქონდეს სხვა წინაპირობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე ჯიშკარიანმა დააზუსტა 2,3 კომპონენტში წარმოდგენილი რჩევა, რომელიც ეხებოდა კრედიტების მინიჭების ლოგიკასა და კურსების შინაარსს და მოუწოდა ექსპერტებს განმარტებისკენ.
ამასთან, აღსანიშნავია, რომ რვა სავალდებულო კურსს კითხულობს 8 მოწვეული ლექტორი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად რელევანტურია პროგრამის მდგრადობის კუთხით აღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა, მიხეილ გიორგაძემ განმარტა, რომ ყველა სასწავლო კურსთან არის უნიფიცირებული მიდგომა. არგუმენტირებული პოზიცია უნივერსიტეტის მხრიდან იყო ის, რომ საათობრივი გადანაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოების იყო განსხვავებული, რაც სავსებით მისაღებია, თუმცა შინაარსობრივად საგნები შეუძლებელია იყოს ერთნაირი კომპლექსურობის. შესაბამისად, უმჯობესია შინაარსზე დაყრდნობით დიფერენციაციაზე ფიქრი.
ექსპერტმა განმარტა, რომ პერსონალი, რომელიც წარმოდგენილია პროგრამაში თანამშრომლობს მხოლოდ და მხოლოდ მოცემულ დაწესებულებასთან სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში. შესაბამისად, მდგრადობასთან დაკავშირებით არ ჩნდება არანაირი ეჭვი, ვინაიდან პერსონალი არის მრავალმხრივი გამოცდილების მქონე, როგორც პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო კუთხით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:51
დასრულების დრო: 17:12

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
2. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების შინაარსი და მოვიდეს ის შესაბამისობაში პროგრამის სწავლის შედეგებთან და მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა;

რჩევები:

1. კვლევის შედეგების სანდობიისა და რეპრეზენტატიულობის გაზრდის მიზნით, სასურველია გაიზარდოს გამოკითხულ დამსაქმებელთა რაოდენობა;
2. სასურველია, გადაიხედოს კრედიტების მინიჭების ლოგიკა და სასწავლო კურსებისთვის განისაზღვროს კურსის შინაარსისა და კომპლექსურობის რელევანტური კრედიტები;
3. სასურველია, სასწავლო საგნების სილაბუსებში გათვალისწინებული იყოს თითოეული საგნის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების რუკა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი) საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

3.მესამე საკითხი : შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა და პოლიტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 13 დეკემბრის №787 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ირინა ენუქიძის N3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ), თბილისი, 0159 , საქართველო.

		თამარ მეფის ქუჩა N60, ბათუმი, მახინჯაური, 6000, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ უშუალოდ ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა 11 აპრილს, დისტანციურ რეჟიმში განახორციელა ვიზიტის წინამოსამზადებელი შეხვედრა და 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა და გამოიკვეთა ძირითადი მიგნებები, რომლებზეც ყურადღება გამახვილდა 5 აპრილს ინტერვიუირების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2022 წლის 5 აპრილს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი. ვიზიტი დისტანციურ რეჟიმში, zoom პლატფორმის მეშვეობით განხორციელდა. სამუშაო პროცესის ადმინისტრირება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით წარიმართა. ვიზიტის პირობებში ჯგუფმა შეისწავლა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და მოახდინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ნაკლული ინფორმაციის შევსება და დეტალური ანალიზი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, დაზუსტდა რიგი ინფორმაცია, დამატებით მოთხოვნილი იყო განახლებული დოკუმენტაცია (საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ ინფორმაცია, ხარისხის მართვის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები და მონაცემები (პროგრამაში ჩართული იმ აკადემიური პერსონალის შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებსა და უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების გრანტებში, აკადემიური პერსონალის დატვირთვა, განახლებული მემორანდუმები, ისევე როგორც ინფორმაცია უშუალოდ წარმოდგენილ პროგრამის გაცვლით პროგრამებში მონაწილე

სტუდენტების შესახებ და სხვა). უნივერსიტეტმა აღნიშნული ინფორმაცია იმავე დღეს წარმოადგინა.
სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის დეკანთან. საბოლოოდ, კომისია ვიზიტის საფუძველზე მიღებული მიგნებების გასაცნობად შეხვდა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის წამომადგენლებს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კონკრეტულად კი ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა) და კომისიის მიერ შეფასების მიზნით საჭირო კითხვების დასმა და ინფორმაციის ამოღება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნების გადახედვა და გამართვა სულ მცირე ლოგიკური დაჯგუფების და ფორმულირების თვალსაზრისით, იმგვარად რომ მიზნებს შორის არ იყოს კვეთა და წარმოდგენილი დეტალიზაცია არ გაცდეს პროგრამული მიზნის აღწერის ფარგლებს;
2. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს პროგრამის ინგლისურენოვანი ვერსია და დღეს არსებული ვარიაცია Public Administration and Politics შეიცვალოს Public Administration and Policy-ის სახით, ვინაიდან როგორც პროგრამის კონცეპტუალური შესაბამისი ინტერპრეტაციისთვის, ისე ინტერნაციონალიზაციის საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდებოდეს შესაბამის აუდიტორიასთან ადეკვატური კომუნიკაცია;
3. რეკომენდირებულია პროგრამის პირველი მიზნიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ისეთი საჯარო მოხელეების მომზადებას, რომლებსაც ეცოდინებათ საჯარო მმართველობის ძირითადი ცნებები/თეორიები, გაიზარდოს უშუალოდ საჯარო მმართველობის დარგობრივი ცოდნის, შესაბამისი კონცეპტუალური აღქმისა და თეორიული ცოდნის ათვისების შესაძლებლობა. ეს ერთი მხრივ მიიღწევა უშუალდ საჯარო მართველობის თეორიტიკოსთა მეტად წარმოდგენით, მეორე მხრივ კი საჯარო

მმართველობის რელევანტური საგნების რაოდენობის გაზრდით ისეთი მიმართულებების დასაფარად, როგორიცაა საჯარო სერვისები, ელექტრონული მმართველობა, ანგარიშვალდებულება და ა.შ.;

4. პროგრამის 2.1. შედეგიდან გამომდინარე, რაც რთული ან გაუთვალისწინებელი საჯარო მმართველობითი, მათ შორის, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ხასიათის პრობლემების/შემთხვევების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მათი გადაწყვეტისთვის შესაბამისი მეთოდების შერჩევა/გამოყენებას გულისხმობს, რეკომენდებულია პროგრამას სავალდებულო საგნის სახით დაემატოს საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსი.
5. რეკომენდირებულია, რომ შეფასების კომპონენტები კურსების შემთხვევაში ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. ასევე, რეკომენდირებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომელიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს იმ ზოგადი მოთხოვნების მიღმა, რომელიც შეფასების გრადაციებში ჩანს.
6. რეკომენდირებულია, განხორციელდეს სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა საერთაშორისო პროექტებსა და კვლევებში, მოხდეს მეტი სტუდენტის დაფინანსება საერთაშორისო პროექტებში;
7. რეკომენდირებულია, რომ პროგრამაზე გაიზარდოს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა, ისევე როგორც გაუმჯობესდეს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსების/კომპონენტების განმახორციელებლი პერსონალის შემადგენლობა;
8. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის წამახალისებელ რამდენიმე ფინანსურ ინსტრუმენტს, საჯარო მმართველობის მიმართულებით სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლების გასაზრდელად რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში აქტიური ჩართვის მიზნით, ასევე მეტად სისტემატიზირებულად მართოს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგების ანალიზის პროცესი;
9. რეკომენდირებულია, პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებული იყოს, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მაჩვენებელი, დადეგნილი შესაბამისი ზღვარით. დადებითი მაჩვენებლის გამო სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად მარტივად მისაღწევად და დადგეს საკითხის დამატებითი კვლევის საჭიროება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა დააზუსტა თუ რამდენად შეამოწმეს ექსპერტებმა აკადემიური პერსონალის დატვირთვის ხარისხი, ვინაიდან ზოგიერთი ლექტორი კითხულობს 12-13 საგანს. ამასთან ზოგიერთ აკადემიურ პერსონალს არ აქვს გამოცდილება და აკადემიური ხარისხი. ამასთან, აღსანიშნავია სასწავლო კურსების წინაპირობები, განსაკუთრებით სამართალთან დაკავშირებული საგნების შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა, ასევე, მოუწოდა ექსპერტებს ესაუბრათ შედეგების გასაჩივრების წესთან დაკავშირებით, ვინაიდან თავად ჩანაწერი პროგრამაში არის საკმაოდ ზოგადი.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ დააზუსტა, თუ რამდენად მართებულად მიაჩნია დაწესებულებას პირველი კურსის პირველივე სემესტრში მე-2 ლექციაზე სტუდენტისთვის შეთავაზებული იყოს საშინაო დავალება რეფერატის სახით, როდესაც სტუდენტი ჯერ არ იცნობს რა არის რეფერატი და რა მინიმალური მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს რეფერატის

შესასრულებლად. ამასთან, აღსანიშნავია ,,ევროპული ინტეგრაციის“ სასწავლო კურსი, კერძოდ სასწავლო კურსი თემატიკისა და ლიტერატურის კუთხით საჭიროებს გადახედვას, გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო კურსი უფრო მეტად თავისი შინაარსით შეესაბამება ევროკავშირის სამართალს და არა ევროპულ ინტეგრაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განმარტა, რომ ის ბაზები რომლებიც მოქმედებს უნივერსიტეტში არის სრულიად რელევანტური. რაც შეეხება შეფასებას, მიუხედავად თემატიკის კომპლექსურობისა შეფასების ნაწილში წარმოდგენილი იყო საკმაოდ ერთგვაროვანი მიდგომა.
მნიშვნელოვანია ასევე სამართლის საგნების ლოგიკური აწყობის საკითხი. კერძოდ, ექსპერტები ხელმძღვანელობდნენ მარტივიდან რთულისკენ გადასვლის პირობით. ზოგადად პროგრამა საკმაოდ კომპლექსურია, თავდაპირველად ნავიგაცია შესაძლებელია გაჭირდეს, თუმცა საბოლოო ჯამში სტუდენტის არჩევანის თავისუფლება საკმაოდ დიდია. თუმცა არსებობს მეტად რელევანტური ბლოკების აუცილებლობა.
რაც შეეხება სამეცნიერო ხარისხს, პროპორციულად საჯარო მმართველობის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის საკმაოდ მცირე. შესაბამისად, მე-4 სტანდარტთან მიმართებაში დასკვნაში მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. დატვირთვის თვალსაზრისით მნიშნელოვანია, რომ განმეორებები არის არა მარტო სავალდებულო სასწავლო კურსების კატეგორიაში არამედ არჩევითშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ პროგრამაზე პერსონალის რაოდენობა არის 68, შესაბამისად, დატვირთვის პრობლემა პროგრამაზე არასდროს ყოფილა.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის განხორციელების პროცესში მონაწილეობს საჯარო მმართველობის დარგობრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება პირადი საქმეებით, პროფესიული, აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილებით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით, მათ შორის, საჯარო მმართველობის დარგობრივ საკითხებზე განხორციელებული კვლევებით და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, სტატიებით, მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით. პროგრამა ითვალისწინებს საჯარო მმართველობისთვის რელევანტურ სასწავლო კურსებს, რომლებიც ერთობლიობაში უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, უნივერსიტეტი გაიზიარებს რეკომენდაციას საჯარო სერვისებთან დაკავშირებული სასწავლო კურსის დანერგვის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ ელექტრონული მმართველობის სასწავლო კურსი სტუდენტებისთვის შეთავაზებულია საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, უნივერსიტეტი არ ეთანხმება იგივე სასწავლო კურსის საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრაციას.
მე-4 რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებლებამ განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში საჯარო პოლიტიკის კონტექსტში რელევანტური სასწავლო კურსებიდან აღსანიშნავია სასწავლო კურსები „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში“, „პოლიტიკური თეორია“, „პოლიტიკა და პოლიტიკური ანალიზი“, რომელთა ფარგლებშიც განიხილება საჯარო პოლიტიკის ანალიზთან დაკავშირებული საკითხები. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტი არ ეწინააღმდეგება რეკომენდაციას საჯარო პოლიტიკის ანალიზის კომპონენტის სავალდებულო საგნად დამატებას.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, შესაბამის სასწავლო კურსებში გამოყენებულია შეფასების ის მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას, რასაც ექსპერტების

დასკვნაც ადასტურებს. შეფასების თითოეული კომპონენტის განსაზღვრის პროცესში მხედველობაში მიიღება სასწავლო კურსის მიზანი, შინაარსი, საკითხების სპეციფიური ბუნება და სწავლის შედეგები. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი შეიცავს შეფასების დეტალურ, კონკრეტულ მოთხოვნებს, ხოლო შეფასების ყველა მეთოდს აქვს დეტალური კრიტერიუმები, რომლებიც, მართლაც, სტანდარტიზებულია. სტანდარტიზებული სისტემების შექმნა, დღემდე არ განიხილებოდა უარყოფით მოვლენად, პირიქით, ის ხარისხის უზრუნველყოფისათვის ეფექტიან მექანიზმად ითვლება. სტანდარტიზებულობა არ ნიშნავს მოუქნელობას, სტანდარტიზებული კრიტერიუმები გამოიყენება იმ კონკრეტული კონტენტის ფარგლებში, რომელსაც ესა თუ ის დისციპლინა შეიცავს. რაც შეეხება შეფასების მეთოდების აღწერას, ის მოცემულია საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამის დანართით სწავლა-სწავლების მეთოდებთან ერთად (დიფერენცირებულად).

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა, ასევე, გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის შინაგანაწესი იცნობს გასაჩივრების მექანიზმს, რომელიც ასევე პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება. როდესაც სტუდენტი წერს საჩივარს, დეკანის მიერ იქმნება კომისია, რომელსაც არა აქვს მიღებული შეფასების დაწევის უფლება. მნიშვნელოვანია, რომ კომისიის შექმნასთან ერთად ხდება პროცესისა და საქმიანობის შესახებ განმარტებების გაკეთება. ამასთან, სტუდენტთა მეგზურში დეტალურად აღწერილია გასაჩივრების პროცედურა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

რაც შეეხება ევროპული ინტეგრაციის სასწავლო კურსს, სამართალი არის ის სფერო, რომლის გამოყენებითაც ევროპული ინტეგრაცია ეკონომიკური ინტეგრაციიდან გარდაიქმნა სრულიად ევროპულ გაერთიანებად, ამიტომ ამ სამართლებრივი სისტემის შესწავლა საკმაოდ მნიშვნელოვანია. ეს სასწავლო კურსი ევროპული ინტეგრაციის გაცნობითი კურსია, მათ შორის, რა თქმა უნდა, ევროკავშირის სამართლებრივი სისტემის.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სასწავლო კურსს არ უნდა ერქვას ევროინტეგრაცია და უნდა იყოს ,,ევროკავშირის სამართალი". ის საკითხები რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია იცოდეს საჯარო მოხელემ, მოცემულ სასწავლო კურსში არ არის განსაზღვრული. თუ სასწავლო კურსს ჰქვია ევროპული ინტეგრაცია, მაშინ აუცილებელია მასთან დაკავშირებული საკითხების სრულად განსაზღვრა.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა დააზუსტა თუ რა სახის ღონისძიებები ტარდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მიზნით და როგორი სიხშირით მიმდინარეობს შეფასების პროცესი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ ,,პროფესიული პრაქტიკის“ სილაბუსში მოცემულია, რომ ობიექტზე მუშაობას ეთმობა 120 საათი, თუმცა გამოგზავნილ დოკუმენტებში არ იყო მოცემული პრაქტიკის ხელშეკრულებები, გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ. ასევე, აღსანიშნავია ,,აკადემიური წერისა“ და ,,კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის“ სასწავლო კურსები, კერძოდ, მეორე სასწავლო კურსის შინაარსი არ მოიცავს კრიტიკული აზროვნების ელემენტებს. იმ ნაწილში სადაც მოცემულია აკადემიური წერის ელემენტები, სახეზეა გადაფარვა. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა მხარეებს საკითხის დაზუსტებისკენ.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების გავლა. გამოკითხვის შედეგადაც დადგინდა, რომ აუცილებელი იყო საბაკალავრო ნაშრომზე ორიენტირებული სასწავლო კურსის შემუშავება. აქედან გამომდინარე, მე-7 სემესტრში უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე, ისაუბრა პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ორ შესაძლებლობას. ერთი არის საჯარო მოხელის ვირტუალური საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც 2017 წლიდან ფუნქციონირებს და, რომლის ფარგლებშიც პროფესორების ზედამხედველობით, სტუდენტები კონსულტაციას უწევენ სახელმწიფო მოსამსახურეებს. სახელმწიფო მოსამსახურეები აგზავნიან მათთვის

საინტერესო შეკითხვებს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებით და კითხვებზე პასუხის გაცემის პროცესში სტუდენტები იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.
არსებობს, ასევე, მეორე შესაძლებლობა, რომლის საფუძველზეც ხდება პრაქტიკის უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე განხორციელება. ამ მიმართულებით გაფორმებულია მემორანდუმები სხვადასხვა დაწესებულებებთან, მაგალითად შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ასევე საკრებულოსთან. საჯარო სამსახურის ეროვნულ ბიუროსთან ხორციელდება სახელმწიფო დასაქმების პროგრამა.
რაც შეეხება აკადემიური პერსონალის ჩართულობის შეფასებას, ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება აკადემიური პერსონალის გამოკითხვა და, შესაბამისად, ხდება ამ ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შემდეგ რეაგირება.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე, აღნიშნა, რომ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს პროგრამის შინაარსით გათვალიწინებულ იმ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელიც განსაზღვრულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს კვალიფიკაციის მე-6 დონით დადგენილი სწავლის შედეგების აღმწერის მიხედვით და უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის კონკურენტუნარიანი, საჯარო მმართველობის ბაკალავრის სპეციალისტების მომზადებას. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისთვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინსტიტუციური სისტემა, რომელიც გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას ამ პროცესში, კერძოდ: პროგრამის კორექტირების პროცესს ორგანიზებას უწევს პროგრამის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან, როგორც აკადემიური/მოწვეული პერსონალი, ისე სტუდენტები. კომიტეტის მუშაობის ფარგლებში მიმდინარეობს პროგრამის განხორციელების ანალიზი და ახალი პროექტების განხილვა. სამუშაო პროცესში კონსულტაციები მიმდინარეობს სკოლის ფარგლებში არსებულ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტის წევრებთან, მჭიდრო თანამშრომლობა ხორციელდება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურთან, რომელიც ამზადებს ბაზრისა და სტუდენტთა შეფასებების კვლევის ანგარიშებს, ხოლო შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის კორექტირების დროს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის ლოგიკა იმგვარად არის აგებული, რომ უპირატესად სამართლებრივ კომპეტენციას ავითარებს ვიდრე მმართველობით კომპეტენციას, თუმცა კვალიფიკაცია აღნიშნულს ითხოვს. ამასთან ისეთი კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე საჯარო მოხელისთვის განსაზღვრული არ არის. ამასთან საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ როგორ განისაზღვრება საბაკალავრო ნაშრომის თემატიკა, ვინაიდან გადმოგზავნილი ნაშრომებიდან არც ერთი არ შეესაბამება კვალიფიკაციას.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამით სრულად იფარება საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები. ყველა რელევანტური სფერო არის დაფარული იმ დონეზე, რაც აუცილებელია საბაკალავრო პროგრამისთვის.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ როგორ იფარება პროექტების მართვის, მენეჯმენტისა და ფინანსების საკითხები.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია ,,საჯარო ფინანსები“ სასწავლო კურსი, რომელიც სავალდებულო საგანს წარმოადგენს. მოცემულია ასევე ,,ორგანიზაციული ქცევის კურსი“, ,,მარკეტინგის საფუძვლების კურსი“, ,,საერთაშორისო მენეჯმეტი“, ,,ადამიანური რესურსების მართვის კურსი“, ეკონომიკის პრინციპები“. იმის თქმა, რომ მხოლოდ სამართლებრივი კურსები არის მოცემულია არ არის შესაბამისი არსებულ რეალობასთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 18:29

დასრულები სდრო: 18:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 2.3 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 2.6 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტების ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება. 5.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტების ცვლილებამ არ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნების გადახედვა და გამართვა სულ მცირე ლოგიკური დაჯგუფების და ფორმულირების თვალსაზრისით, იმგვარად რომ მიზნებს შორის არ იყოს კვეთა და წარმოდგენილი დეტალიზაცია არ გაცდეს პროგრამული მიზნის აღწერის ფარგლებს;
2. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს პროგრამის ინგლისურენოვანი ვერსია და დღეს არსებული ვარიაცია Public Administration and Politics შეიცვალოს Public Administration and Policy-ის სახით, ვინაიდან როგორც პროგრამის კონცეპტუალური შესაბამისი ინტერპრეტაციისთვის, ისე ინტერნაციონალიზაციის საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდებოდეს შესაბამის აუდიტორიასთან ადეკვატური კომუნიკაცია;
3. რეკომენდირებულია პროგრამის პირველი მიზნიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ისეთი საჯარო მოხელეების მომზადებას, რომლებსაც ეცოდინებათ საჯარო მმართველობის ძირითადი ცნებები/თეორიები, გაიზარდოს უშუალოდ საჯარო მმართველობის დარგობრივი ცოდნის, შესაბამისი კონცეპტუალური აღქმისა და თეორიული ცოდნის ათვისების შესაძლებლობა. ეს ერთი მხრივ მიიღწევა უშუალოდ საჯარო მართველობის თეორეტიკოსთა მეტად წარმოდგენით, მეორე მხრივ კი საჯარო მმართველობის რელევანტური საგნების რაოდენობის გაზრდით ისეთი მიმართულებების დასაფარად, როგორიცაა საჯარო სერვისები, ელექტრონული მმართველობა, ანგარიშვალდებულება და ა.შ.;
4. პროგრამის 2.1. შედეგიდან გამომდინარე, რაც რთული ან გაუთვალისწინებელი საჯარო მმართველობითი, მათ შორის, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ხასიათის პრობლემების/შემთხვევების იდენტიფიცირებას, ანალიზსა დას მათი გადაწყვეტისთვის შესაბამისი მეთოდების შერჩევა/გამოყენებას გულისხმობს, პროგრამის სავალდებულო საგნის სახით დაემატოს საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსი. დღეს, პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი მოდულის ფარგლებში წარმოდგენილი ანალოგიური სახელწოდების კურსი - პოლიტიკა და პოლიტიკური ანალიზი - არ წარმოადგენს საჯარო მმართველობის პროგრამებში სტანდარტის სახით იდენტიფიცირებულ შესაბამის კურსს არც შინაარსობრივი თვალსაზრისით და არც შესაბამისი ლიტერატურის დონეზე;
5. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს მთელი რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები მაგალითად. სავალდებულო სასწავლო კურსს „სამოხელეო სამართალს“

დაშვების წინაპირობა არ გააჩნია. აღნიშნული სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“; დაზუსტებას მოითხოვს სავალდებულო სასწავლო კურსის „შრომის სამართლის“ დაშვების წინაპირობაც. მის დაშვების წინაპირობად თემატიკიდან უნდა განესაზღვროს „შესავალი სამოქალაქო სამართალში“. რაც შეეხება ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსს „საკორპორაციო სამართალსა“ და „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებს“ თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „შესავალი სამოქალაქო სამართალში“;

6. სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურისა და ნორმატიული მასალის განახლების მიზნით;
7. რეკომენდებულია, გადაიხედოს ადმინისტრირების კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები, შინაარსი, თემატიკა და ლიტერატურა დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად;
8. რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა განისაზღვროს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად;
9. მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების შედეგების გასაჩივრების ეფექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელი მექანიზმის არსებობა დეტალური აღწერით;
10. რეკომენდებულია, რომ შეფასების კომპონენტები კურსების შემთხვევაში ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. ასევე, რეკომენდირებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომელიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს იმ ზოგადი მოთხოვნების მიღმა, რომელიც შეფასების გრადაციებში ჩანს;
11. რეკომენდებულია, განხორციელდეს სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა საერთაშორისო პროექტებსა და კვლევებში, მოხდეს მეტი სტუდენტის დაფინანსება საერთაშორისო პროექტებში;
12. რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე გაიზარდოს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა, ისევე როგორც გაუმჯობესდეს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსების/კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის შემადგენლობა;
13. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის წამახალისებელ რამდენიმე ფინანსურ ინსტრუმენტს, საჯარო მმართველობის მიმართულებით სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლების გასაზრდელად რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში აქტიური ჩართვის მიზნით, ასევე მეტად სისტემატიზებულად მართოს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგების ანალიზის პროცესი;
14. რეკომენდებულია, შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება, პროგრამის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად;
15. რეკომენდებულია, პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებული იყოს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მაჩვენებელი,

დადგენილი შესაბამისი ზღვრით. დადებითი მაჩვენებლის გამო სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად მარტივად მისაღწევად და დადგეს საკითხის დამატებითი კვლევის საჭიროება.

რჩევები:

1. გრძელვადიან პერსპექტივაში, პროგრამის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება, რომ მიზნების განსაზღვრა და ფორმულირება დაეფუძნოს მეთოდოლოგიურად გამართულ კვლევებს, რაც ასევე აისახება კვლევის ანგარიშების ხარისხსა თუ პროგრამის მიზნების უფრო ნათლად განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში;
2. სასურველია, რომ პროგრამის სამიზნე ჯგუფი მხოლოდ საჯარო მოხელეებით არ იფარგლებოდეს და სამიზნე ჯგუფის ჩამონათვალი გაიზარდოს პოტენციური დასაქმებისა და საჯარო მმართველობის საბაკალავრო საფეხურისთვის რელევანტური ცოდნისა და კომპეტენციების მქონე შესაბამის პირთა ინტერესების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე;
3. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმიც იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორიცაა უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მოზიდვა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევაში;
4. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შედეგების განსაზღვრა და ფორმულირება დაეფუძნოს მეთოდოლოგიურად გამართულ კვლევებს, რაც დადებითად აისახება შედეგების ნათლად განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში;
5. სასურველია, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით მოდულში წარმოდგენილი საჯარო მმართველობის რელევანტური კურსების გადაჯგუფება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო მოდულში. შესაბამისად, ის საგნები, რომელიც მისანიჭებელი ხარისხის რელევანტური ნაკლებადაა, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით მოდულშია სასურველი, რომ ინტეგრირდეს;
6. საჯარო მმართველობის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა სასურველია, რომ მეტად შესაბამისობაში მოვიდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებთან, კერძოდ, საჯარო მმართველობის თანამედროვე სტანდარტებთან, მინიმუმ SIGMA-ს ინსტრუმენტებთან მიმართებით. ასევე, სასურველია, რომ პროგრამა და დარგის შესაბამისი სასწავლო კურსები მეტად ითვალისწინებდეს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. შესაბამისად, პროგრამა საჭიროებს გაუმჯობესებას უახლესი ლიტერატურისა და საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური სიახლეების, მათ შორის საჯარო მმართველობის SIGMA-ს სტანდარტების, მასში ინტეგრირების დონეზე;
7. სასურველია, რომ სოციალური აქტივობის განხორციელების ეტაპების მეტად ფორმალიზება და შესაბამისი მართვა. ი 4.1. ქვესტანდარტში წარმოდგენილი

რეკომენდაციის - პროგრამაზე გაიზარდოს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა - დაკმაყოფილების შემთხვევაში, საბაკალავრო ნაშრომებზე მუშაობის პოტენციალი მნიშვნელოვნად ამაღლდება და ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) მეტად შესაბამისი გახდება;

8. სასურველია, გაძლიერდეს ინფორმირებულობა და მნიშვნელობა სტუდენტებთან საერთაშორისო პროექტებში ჩართვის მნიშვნელობასა და აუცილებლობასთან დაკავშირებით;
9. სასურველია, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის საბოლოო შეფასებები ებმოდეს გარკვეული ტიპის წამახალისებელ აქტივობებს, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის პერსონალის მოტივაციას;
10. სასურველია, თუკი აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში ჩართული იქნება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული შესაბამისი კითხვარების გამოყენებით;
11. სასურველია, გარე შეფასებებით მოხდეს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი კომპონენტების უფრო მეტად იდენტიფიცირება. შეფასებები უნდა იყოს უფრო დეტალური და სიღრმისეული.
12. სასურველია, პროგრამა შეფასდეს უცხოელი შემფასებლის მიერ;
13. სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან რეაგირების ანგარიშში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

4.მეოთხ ესაკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული სისტემების და ქსელური ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება-0612
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 6, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა – ეკატერინე შაკიაშვილმა
საფუძველი – შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეირჩა ჯგუფი, რომელთა უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 20 აპრილს, ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2022 წლის 18 აპრილს - მოხდა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება. 2022 წლის 20 აპრილს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის უნივერსიტეტში ვიზიტით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები. ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული სისტემების და ქსელური ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ჩამოყალიბდეს მეტი სიცხადით: შემცირდეს და მეტად დაზუსტდეს ყოველი სწავლის შედეგის შეფასების მეთოდი; მკვეთრად განისაზღვროს სამიზნე ნიშნული ყოველი სწავლის შედეგისათვის, რომელიც გამოიყენება კონკრეტული ნაკადისათვის;

2. სასწავლო კურსებში „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“, „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“ რეალურად (და არა მხოლოდ სათაურში) აღიწეროს დარგთან დაკავშირებული საკითხები;
3. სასწავლო კურსები „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“, „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“, „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ შეივსოს, უშუალოდ, დარგთან დაკავშირებული საკითხებით;
4. შემდეგი სასწავლო კურსები გადანაცვლდეს არჩევით ბლოკში: „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“; „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“; „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ ; „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“;
5. სასწავლო კურსი „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ გადატანილ იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში და ამოღებულ იქნეს ყველა სხვა საგნის წინაპირობიდან;
6. სასწავლო კურსის „პროგრამული ინჟინერია კომპიუტერული სისტემებისა და ქსელებისთვის“ სათაური შეიცვალოს დასახელებით „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“;
7. რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის შეფასების სქემა, რომელშიც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული პროგრამის შეფასების ეტაპები, პერიოდულობა და გამოყენებული შეფასების მეთოდები;
8. რეკომენდებულია დაიხვეწოს დოკუმენტში „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“ მითითებული პროგრამის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და შეფასების მექანიზმი, კერძოდ: დაკორექტირდეს თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, მათ შორის დაზუსტდეს პროგრამის შედეგების მიღწევის კომპონენტები, დადასტურების/შეფასების მეთოდები და რიცხობრივი მაჩვენებლები (სამიზნე ნიშნულები).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ რჩევებში წარმოდგენილი არის საკითხი, მინისტრი მესამე ბრძანებასთან დაკავშირებით და მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასების სისტემაში, მეორე ცხრილში მოცემულია კურიკულუმის რუკა. ამავე დოკუმენტში არის ჩანაწერი, რომ პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასება ეყრდნობა მხოლოდ სამაგისტრო პროექტის შეფასებას. შესაბამისად, ის სასწავლო კურსები და შესაბამისად, საწარმოო პრაქტიკას გადიან თუ არა განმტკიცების დონეზე და რატო არის აღნიშნული კურსები ამ კუთხით უგულებელყოფილი.

ამასთან აღსანიშნავია, თუ რომელი სასწავლო კურსებით იფარება ის ცოდნა და უნარები, რომლებიც აუცილებლად სჭირდება მაგისტრანტს. ამასთან მიღების წინაპირობებში საერთოდ არ არის მოცემული ბაკალავრის ხარისხი, რაც, სავარაუდოდ, ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა დააზუსტა თუ რამდენად იზიარებს ინსტიტუცია მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს ინფორმაცია კარიერასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურეობის ხელმისაწვდომობის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა მესამე ბრძანებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემული არის ტექნიკური ხასიათის საკითხი ვიდრე შინაარსობრივი, ვინაიდან დეკემბრის ბოლოს დამტკიცდა მინისტრი ბრძანების ახალი ვერსია. შესული ცვლილებების შემდეგ,

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ისეთივე სისტემით, როგორც ფასდება სასწავლო კომპონენტი. დაწესებულების მიერ, სავარაუდოდ, გამოგზავნილი იყო ძველი ვარიანტი. შესაბამისად, აღნიშნული ტექსტი უბრალოდ საჭიროებს რეგულაციიდან ამოღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, პროგრამის დასახელების შემოთავაზებულ ვერსიებთან დაკავშირებით განმარტა, რომ „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ მოიცავს საკითხების გაცილებით ფართო სპექტრს, ვიდრე სამაგისტრო პროგრამაშია წარმოდგენილი. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ პროგრამით დაინტერესებული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების მეტად დაკონკრეტება ხელს შეუწყობს გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებას. რაც შეეხება „კომპიუტერულ სისტემებს“, ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ამ ტერმინის შესაბამის საკითხებს. მაგრამ, ამ შემთხვევაში წარმოდგენილი პროგრამაა უფრო „ფართო“ დასახელება იქნებოდა, „ვიწრო“, შესაბამისად - არაყოვლისმომცველი.

დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტების რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე“ უნდა აღიწეროს დარგთან დაკავშირებული საკითხებით. სასწავლო კურსის მიზანია საქმიანი კომუნიკაციის შესწავლა, არგუმენტირებული და ენობრივად გამართული წერილობითი დოკუმენტების ფორმირება, თანამედროვე ენობრივი ფორმატით საქმიანი მიმოწერის წარმართვა, რაც ხორციელდება ინგლისურ ენაზე. რადგან საქმიანი კომუნიკაციის სპეციფიკა განპირობებულია იმით, რომ იგი წარმოიქმნება პროდუქტის წარმოებასთან, ბიზნეს შედეგთან ან მომსახურების სფეროსთან დაკავშირებული გარკვეული ტიპის საქმიანობის საფუძველზე, ამიტომ ნებისმიერი დარგის სპეციალისტს უნდა შეეძლოს საქმიანი კომუნიკაცია. აქედან გამომდინარე, სასწავლო კურსი არ ეხება რომელიმე კონკრეტულ დარგს.

უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტების რეკომენდაციას, სასწავლო კურსის „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე“ მისი არჩევით ბლოკში გადატანის შესახებ. ასევე, სასწავლო კურსი „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“ ამოღებული იქნება ძირითადი სასწავლო კურსებიდან და გადატანილი იქნება არჩევით სასწავლო კურსებში. მისი ჩანაცვლება მოხდება არჩევითი სასწავლო კურსებიდან სასწავლო კურსით „ღრუბლოვანი გამოთვლები: ტექნოლოგია, ანალიზი, უსაფრთხოება“. შესაბამისად, ამოღებული იქნება არჩევითი სასწავლო კურსებიდან. ვეთანხმებით ექსპერტების რეკომენდაციას სილაბუსი „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ უფრო გაღრმავდება და დაემატება ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საკითხები.

ამავდროულად დაწესებულება არ ეთანხმება „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ სასწავლო კურსს გადატანილი იქნას არჩევით სასწავლო კურსში, რადგან სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს კვლევის ძირითადი პრინციპები და მეთოდები, კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების, მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგიური და ეთიკური საკითხები. თეორიული საკითხების გაანალიზებასთან ერთად სტუდენტს განუვითაროს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების ჩატარების უნარები. რადგან მაგისტრატურის საფეხურზე საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით კვლევის განხორციელება არის აუცილებელი, მაგისტრანტი აღჭურვილი უნდა იყოს თანამედროვე კვლევის მეთოდებით. ვეთანხმებით ექსპერტების რეკომენდაციას და სასწავლო კურსი „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ ამოღებული იქნება ძირითადი სასწავლო კურსებიდან. იგი გადატანილი იქნება არჩევით სასწავლო კურსებში. ამ სასწავლო კურსის ძირითადიდან არჩევითში გადატანის შემდეგ გათავისუფლებულ კრედიტებში, საგანმანთლებლო პროგრამის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, ასევე დამატებული სასწავლო კურსის აქტუალობიდან გამომდინარე, დაემატება ახალი სასწავლო კურსი „კორპორატიული ქსელების მართვის ტექნოლოგიები“.

სასწავლო კურსის „კორპორატიული ქსელების მართვის ტექნოლოგიები“ არსი მდგომარეობს კომპიუტერული ქსელების მართვის ავტომატიზაციის მიდგომებისა და მეთოდების შესწავლაში. შესაბამისად, სასწავლო კურსი „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ ამოღებული იქნება სასწავლო კურსების წინაპირობიდან: IoT-ის დაპროექტება; ხელოვნური ნეირონული ქსელები; პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია; ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიები; ინფორმაციის დაცვა კომპიუტერულ სისტემებში და ქსელებში; კიბერუსაფრთხოება; კრიპტოგრაფიული ტექნოლოგიები. ივეთანხმებით ექსპერტების რეკომენდაციას და სასწავლო კურსის „პროგრამული ინჟინერია კომპიუტერული სისტემებისა და ქსელებისთვის“ დასახელება შეიცვლება და იქნება „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“. რადგან სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის პროცესი, არქიტექტურა, მოდელები და მისი კომპონენტების პროექტირება, ინტერფეისის არქიტექტურა და პროექტირება, პროგრამული სისტემების ტესტირების საკითხები. ამიტომ არ არის აუცილებლობა იმისა, რომ ფოკუსირება გაკეთდეს მხოლოდ კომპიუტერული სისტემებზე და ქსეებზე.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შეფასების სისტემა ჩამოყალიბებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხდება „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის“ შესაბამისად. სამაგისტრო პროექტის შეფასება ხდება 6 კრიტერიუმით. სამაგისტრო პროექტის შეფასების კრიტერიუმები და ქულათა თანაფარდობა განსაზღვრულია “მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის” მიხედვით, ხოლო პროგრამის შედეგების ქულათა თანაფარდობა შერჩეულია ექსპერტულად. წესის მიხედვით სამაგისტრო პროექტის დაცვის მომენტში შეფასებას ახდენს კომისიის თითოეული წევრი ცალ–ცალკე, ხოლო კონკრეტული სამაგისტრო პროექტის შეფასების შემდგომ გამოიყვანება საშუალო არითმეტიკულით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა დასკვნის პროექტით წარმოდგენილი მითითების შინაარსი, არ წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის რეკომენდაციის დონის გამოწვევას. აქვე, აღვნიშნავთ, რომ თუ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, კვლავ ჩათვლის საჭიროდ, სისტემის გამარტივების მიზნით, მითითების ძალაში დატოვებას, უნივერსიტეტი გააგრძელებს მსჯელობას ამ საკითხთან დაკავშირებით, რის შესაძლებლობასაც იძლევა „რჩევის“ სტატუსის მიგნება და არა სავალდებულოდ შესასრულებელი „რეკომენდაცია“.

რაც შეეხება შეფასების საკითხებს, პირდაპირი შეფასების მეთოდი ეყრდნობა მაგისტრის მიერ განხორციელებული სამაგისტრო პროექტის შეფასებას. რაც შეეხება შეფასების არაპირდაპირ მეთოდს, გამოყენებული იქნება სტუდენტების, კურსდამთარებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა. ჩამოყალიბებულია სწავლის პირდაპირი შეფასების გეგმა, რომელიც გულისხმობს: სწავლის შეფასების განხორციელებას სამაგისტრო პროექტის შეფასებაზე დაყრდნობით; სწავლის შეფასების დამუშავებული მეთოდოლოგიის ამოქმედებას სამაგისტრო პროექტის შეფასებაზე დაყრდნობით; სწავლის შედეგების შეფასებას სასწავლო წლის დასასრულს, სამაგისტრო პროექტის დაცვის შემდგომ; სწავლის შეფასების პროცედურების დაცვას. პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასება სამიზნე ნიშნულების მიღწევის შეფასებით წარმოდგენილია დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“ (რომელიც გამოგზავნილი იყო საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად). იმავე დოკუმენტში განხილული სამიზნე ნიშნულების მიღწევის შეფასების პროცედურები. შეფასების მეთოდი, ასევე, დაზუსტებული იყო ზემოთ. არაპირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს სტუდენტის თვითშეფასებას; დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასებას და ა.შ. პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება მოხდება კითხვარების გამოყენებით, რომელშიც

ჩამოთვლილი იქნება სასწავლო კურსის/პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. კითხვარი ასევე გაეგზავნებათ დამსაქმებლებს და კურსდამთავრებულებს. უშუალოდ გამოკითხვის პროცესი არის ელექტრონული. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანია ეტაპი, როდესაც მიღებული შედეგები გაანალიზდება და ამის საფუძველზე პროგრამა უმჯობესდება. ამ ეტაპზე ხდება შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება და იმის ანალიზი, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს იმ დონით, როგორც ვვარაუდობდით. ყველა დაცული სამაგისტრო პროექტისათვის შეფასებათა სტანდარტული ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში, სწავლის შედეგები არ ჩაითვლება მიღწეულად. შესაბამისად, გადაიხედება სწავლის შედეგები და დაისახება მისი მიღწევის გზები.
მნიშვნელოვანია, რომ სამაგისტრო პროექტი წარმოადგენს სტუდენტის მიერ პროგრამაზე სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნის, კვლევითი და პრაქტიკული უნარების შემაჯამებელ მტკიცებულებას. გარდა პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი დავალებების შესრულებისა, მაგისტრანტს საშუალება ექნება წარმართოს საკუთარი კვლევითი საქმიანობა. კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის თითოეული წევრი ვალდებულია უხელმძღვანელოს სტუდენტების კვლევით საქმიანობას. სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის კოორდინირების მიზნით კომპიუტერული ინჟინერიის აკადემიურ დეპარტამენტში შექმნილია პროფესორთა ჯგუფი. ამას ადასტურებს თუნდაც ერთ აკადემიურ წელში შესრულებული სამაგისტრო ინოვაციური პროექტები.
რაც შეეხება ინფორმაციის განთავსების საკითხს, განხორციელდა საიტის განახლება და, შესაბამისად, მოცემულია ყველა სახის ინფორმაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:15
დასრულების დრო: 20:05

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ჩამოყალიბდეს მეტი სიცხადით: o შემცირდეს და მეტად დაზუსტდეს ყოველი სწავლის შედეგის შეფასების მეთოდი; o მკვეთრად განისაზღვროს სამიზნე ნიშნული ყოველი სწავლის შედეგისათვის, რომელიც გამოიყენება კონკრეტული ნაკადისათვის.
2. სასწავლო კურსებში „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“, „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“ რეალურად (და არა მხოლოდ სათაურში) აღიწეროს დარგთან დაკავშირებული საკითხები.
3. სასწავლო კურსები „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“, „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“, „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ შეივსოს უშუალოდ დარგთან დაკავშირებული საკითხებით.

4. შემდეგი სასწავლო კურსები გადანაცვლდეს არჩევით ბლოკში: o „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“; o „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“; o „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“.
5. სასწავლო კურსი „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ გადატანილ იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში და ამოღებულ იქნეს ყველა სხვა საგნის წინაპირობიდან.
6. სასწავლო კურსის „პროგრამული ინჟინერია კომპიუტერული სისტემებისა და ქსელებისთვის“ სათაური შეიცვალოს დასახელებით „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“.
7. რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის შეფასების სქემა, რომელშიც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული პროგრამის შეფასების ეტაპები, პერიოდულობა და გამოყენებული შეფასების მეთოდები.
8. რეკომენდებულია დაიხვეწოს დოკუმენტში „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“ მითითებული პროგრამის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და შეფასების მექანიზმი, კერძოდ: დაკორექტირდეს თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, მათ შორის, დაზუსტდეს პროგრამის შედეგების მიღწევის კომპონენტები, დადასტურების/შეფასების მეთოდები და რიცხობრივი მაჩვენებლები (სამიზნე ნიშნულები).

რჩევები:

1. მოხდეს პროგრამის სათაურის ცვლილება, შიგთავსის მეტი შესაბამისობით (მაგ. „ინ-ფორმაციულ ტექნოლოგიები“, „კომპიუტერული სისტემები“).
2. პროგრამის სათაურში ტერმინის „კომპიუტერული ქსელები“ არსებობის შემთხვევაში (თუ განხორციელდა ცვლილება), დაემატოს ამ მიმართულების დისციპლინები.
3. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებში ქულობრივ შეფასებაში გადაიხედოს ქულობრივი შეფასების მეათე დებისბიჯი (0.5, 0.1).
4. მიზანშეწონილია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარ-თვის ინსტრუქციაში“ არსებული ჩანაწერი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შეფასების შესახებ დროულად მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათ-ლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან.
5. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის განახლების პერიოდშივე, სტუდენტების ინფორმირებულობის მიზნით, ვებ-გვერდზე მიზანშეწონილია განთავსდეს ინფორმაცია კარიერასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების ხელმისაწვდომობის თაობაზე.
6. სასურველია ვებ-ზე ჩაშენებული მესინჯერი იყოს facebook ავტორიზაციის გარეშე.
7. მიზანშეწონილია მეტი ყურადღება მიექცეს დოკუმენტების ტექნიკურ მხარეს ტექსტებში ხარვეზების თავიდან აცილებისა და ინფორმაციის სრულად და ზუსტად ასახვის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული სისტემების და ქსელური ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული სისტემების და ქსელური ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

5.მეხუთესაკითხი : სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტის "კულტურული ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურული ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 02.08.2012 N286
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	კულტურული ტურიზმის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის #19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის #40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 24 მაისს დაწესებულებაში მისვლით. ვიზიტამდე ჯგუფის თავმჯდომარემ დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა, სადაც ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა და შეჯერდა შეკითხვების ჩამონათვალი. უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტებისა და მასალების წარმოდგენის თხოვნა, მათ შორის: სამაგისტრო ნაშრომების ელექტრონული ვერსია, ასევე, პრაქტიკის დღიურები (შეფასებული), ელექტრონულ ბაზებზე წვდომის სტატისტიკა, წიგნების შეძენის ბოლო ინვოისი, პროგრამის ბიუჯეტი, აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიშის ფორმა, პროგრამის სახელფასო ხარჯები და ა.შ. უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. შეფასება დაიწყო ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა შესაძლებლობას, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას უზრუნველყოფს. ვიზიტი წარიმართა საქმიან და კოლეგიალურ გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტის "კულტურული ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის პირველი შედეგის ფორმულირებიდან ,,ახდენს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას..“ ამოღებული უნდა იქნას სიტყვა ,,ბაკალვრიატში“ და დარჩეს ,,ახდენს მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას...“.
2. 5-5 კრედიტი, რომელიც გათვალისწინებულია რეფერატისა და საკონფერენციო მოხსენება/საჟურნალო პუბლიკაციისათვის, ჩაშენდეს ცალკეული კურსებში იმ თემატიკის გათვალისწინებით, რომელიც არჩეული აქვს სტუდენტს. განთავისუფლებული კრედიტების რაოდენობა შეიძლება გამოყენებული იქნას პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის და ახალი სალექციო თუ პრაქტიკული კურსების დანერგვისათვის.
3. შინაარსობრივად ისეთ მნიშვნელოვანი კურსი, როგორიცაა არჩევითი კურსი „კულტურული მეკვიდრეობა-დაცვა და მართვა“, გახდეს სავალდებულო.
4. რამდენიმე სილაბუსთან (პედაგოგიკა, ეთნოგრაფიული ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა - დაცვა და მართვა, მუზეუმი და სამუზეუმო მენეჯმენტი) დართული ლიტერატურის ჩამონათვალი საჭიროებს გარკვეულ მოდერნიზაციას, რათა უფრო მეტი ყურადღება იქნეს გამახვილებული უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ პუბიკაციებზე. ზოგ შემთხვევაში, სასურველია, ასევე ლიტერატურის კლასიფიკაციის წესის დახვეწა: მაგალითად, რუსულენოვანი ლიტერატურა გადავიდეს კატეგორიაში „ დამხმარე“ ან „დამატებითი ლიტერატურა“ და სხვ.
5. გატარდეს აქტიური ღონისძიებები სტუდენტებში პლაგიატის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით.
6. რეკომენდებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების უფრო მეტად წახალისება (ფინანსური რესურსის მობილიზება/უზრუნველყოფა), რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის პროდუქტულობის ამაღლებას;
7. რეკომენდებულია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა და ცნობადობის ამაღლება საბიბლიოთეკო რესურსის შესაძლებლობების, მისი გამოყენების და მოხმარების წესების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ სამაგისტრო ნაშრომების შესახებ. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა დამთხვევის პროცენტული მაჩვენებელი.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, დააზუსტა თუ რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია დაწესებულებას პროგრამის გარე შეფასება უცხოური უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ და, ხომ არ ტარდება გარკვეული ღონისძიებები ამ მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომი არ არის უმაღლეს დონეზე შესრულებული, თუმცა იმ შედეგებს პასუხობს, რაც გათვალისწინებული არის პროგრამის მიზნებიდან

გამომდინარე. ნაშრომების მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ბიბლიოგრაფია, რომელიც საკმაოდ მცირედ იყო წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული საქმიანობისთვის და პლაგიატთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ თავის დროზე შეიძინა პლაგიატის სისტემა და საბიბლიოთეკო კონსორციუმთან გააფორმა ხელშეკრულება. რაც შეეხება პროცენტულ მაჩვენებელს, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს საშუალოდ 11%-იანი მაჩვენებელი.

რაც შეეხება გარე შეფასებას, დაწესებულებას ამ კუთხით აქვს გამოცდილება, კერძოდ, კავშირი აქვს გერმანულ უნივერსიტეტებთან, რაც ეხმარება უნივერსიტეტს აპრობირებული მეთოდების გამოყენებასა და დამკვიდრებაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე, აღნიშნა, რომ რეფერატი პროგრამის ერთიანი კონცეფციის ნაწილია და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას: რეფერატი უცხოენოვანი სპეციალური ლიტერატურის გამოყენებით და საკონფერენციო მოხსენება/საჟურნალო პუბლიკაციის მომზადება - ეს კომპონენტებისამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების ფორმირების ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებია და ემსახურება კვლევითი უნარის თანდათანობით განვითარებას, რათა ბოლო სემესტრში მაგისტრანტი მომზადებული შეხვდეს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ეტაპს. უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებში ეს სქემა ეფექტურად მუშაობს და პირდაპირ კავშირშია სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებთან.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, უნივერსიტეტი ზრუნავს საბიბლიოთეკო რესურსების განახლებაზე და მუდმივად ხდება ფონდის განახლება, ამდენად, აღნიშნული რეკომენდაცია ღირებულად მიგვაჩნია და ვეთანხმებით. თუმცა ეთნოგრაფიულ ტურიზმში გვაქვს ლექტორის მიერ შედგენილი რიდერები, (2020 წ.).

მნიშვნელოვანია, ასევე, მე-6 რეკომენდაცია, კერძოდ, უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ტარდება ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებისა თუ დიგიტალური შესაძლებლობების გამოყენებაზე. უნივერსიტეტი დაინტერესებულია უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებით და ჩართულია Erasmus+ პროექტში, რომლის ფარგლებში არაერთმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა მიიღო საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობა, როგორც ონლაინ (პანდემიის პირობებში), ისე ადგილზე, უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში, სადაც იმყოფებოდა მივლინებით.

უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს „ხელოვნების მკვლევართა საერთაშორისო კონფერენციას“, სადაც კულტურული ტურიზმის მიმართულება წარმოდგენილია სექციის სახით. პერსონალს ხელშეწყობა აქვს სამეცნიერო კვლევების გამოცემაში, რამდენადაც უნივერსიტეტში გამოდის პერიოდული გამოცემები, წიგნები, რომელთა ბეჭდვას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“ და ა.შ. ამდენად, უნივერსიტეტი სერიოზულად უდგება პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობის საქმეს და შემდგომშიც დაგეგმილი აქვს ამ მიმართულების განვითარება, რომლისთვისაც თანხები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 20:51

დასრულების დრო: 21:06

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი

არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, 2.4 კომპონენტი "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" რასაც არ გამოუწვევია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება. 4.2 და 4.3 კომპნენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", რის შედეგადაც მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც "შესაბამისობასია სტანრტის მოთხოვნებთან".

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:

1. პროგრამის პირველი შედეგის ფორმულირებიდან ,,ახდენს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას..“ ამოღებული უნდა იქნას სიტყვა ,,ბაკალვრიატში“ და დარჩეს ,,ახდენს მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას...“;
2. 5-5 კრედიტი, რომელიც გათვალისწინებულია რეფერატისა და საკონფერენციო მოხსენება/საჟურნალო პუბლიკაციისათვის, ჩაშენდეს ცალკეული კურსებში იმ თემატიკის გათვალისწინებით, რომელიც არჩეული აქვს სტუდენტს. განთავისუფლებული კრედიტების რაოდენობა შეიძლება გამოყენებული იქნას პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის და ახალი სალექციო თუ პრაქტიკული კურსების დანერგვისათვის;
3. შინაარსობრივად ისეთ მნიშვნელოვანი კურსი, როგორიცაა არჩევითი კურსი „კულტურული მეკვიდრეობა-დაცვა და მართვა“, გახდეს სავალდებულო;
4. რამდენიმე სილაბუსთან (პედაგოგიკა, ეთნოგრაფიული ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა - დაცვა და მართვა, მუზეუმი და სამუზეუმო მენეჯმენტი) დართული ლიტერატურის ჩამონათვალი საჭიროებს გარკვეულ მოდერნიზაციას, რათა უფრო მეტი ყურადღება იქნეს გამახვილებული უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ პუბიკაციებზე. ზოგ შემთხვევაში, სასურველია, ასევე ლიტერატურის კლასიფიკაციის წესის დახვეწა: მაგალითად, რუსულენოვანი ლიტერატურა გადავიდეს კატეგორიაში „ დამხმარე“ ან „დამატებითი ლიტერატურა“ და სხვ.;

რჩევები:

1. გატარდეს აქტიური ღონისძიებები სტუდენტებში პლაგიატის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით;
2. სასურველია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების უფრო მეტად წახალისება (ფინანსური რესურსის მობილიზება/უზრუნველყოფა), რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის პროდუქტულობის ამაღლებას;
3. სასურველია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა და ცნობადობის ამაღლება საბიბლიოთეკო რესურსის შესაძლებლობების, მისი გამოყენების და მოხმარების წესების შესახებ.
4. სასურველია, სტუდენტთა მეტი ჩართულობა უზრუნველყოს უნივერსიტეტმა ერაზმუს + გაცვლით პროგრამებში.
5. სასურველია, პროგრამას ჰყოლოდა - გარე შემაფსებელი უცხოეთის უნივერსტეტებიდანაც, მით უფრო, რომ უსდ-ს აქვს საერთაშორისო კონტაქტები უცხოური ქვეყნების უნივერსიტეტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტის "კულტურული ტურიზმის" სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაცია 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტის "კულტურული ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 21:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
წევრი/სხდომის მდივანი
ჩოჩიშვილი დავით